№ 18 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი I. შაბათი 21 ივლისი, 1912

# ჩვენი ცხოვრება

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ [illegible] რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., [illegible] ზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 სათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

ფართლეულობის მაღაზია

სავაჭრო სახლი ა. მ. ვართანოვი და ამხ.

ვორონცოვის ქუჩა სახლი ჭიჭინაძისა.

იშოვება დიდი ძალი ახალი მოდის ფართლეულობა. ფასები ძლიერ ზომიერი და უვაჭროთ შაბათობით ნაჭრების იაფი გაყიდვა.

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. და 10 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპოს ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

პაიებზე დამყარებულ ამხანაგობის გამგეობა

ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი

რომლის წესდებაც უმაღლესად დამტკიცებულია 1912 წ. 10 ივნისს, ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება ამა წლის 1 ივლისიდან და ძირითად თანხად 1,200,000 მან. აქვს.

ამხანაგობის გამგეობა იმყოფება ქ. კავკავში. გამგეობის დირექტორად ამორჩეულნი არიან:

სერგეი მარკის ძე კირაკოზოვი, ივანე ბოღდანის ძე ოგანოვი, გრიგოლ ბოღდანის ძე ოგანოვი და ივანე ილიას ძე ვავილოვი.

ამხანაგობა აწარმოებს ნარდათ (Оптомъ) და წვრილ ვაჭრობას ფართლეულისას.

1. ნარდზე სავაჭრო საწყობებია: კავკავში, გროზნაში, გეორგიევსკში, თფილისში, ქუთაისში, გეორგიევსკისა და გროზნის ბაზრობაზე.

2. წვრილად ვაჭრობა არის: კავკავში, გეორგიევსკში, პიატიგორსკში, თფილისში, ქუთაისში, სტანიცა არდონში და სოფ. პროხლადნაია კოვეისკში.

შუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდათ. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით მათე გორგილაძე და ამხანაგობა.

მისამართი: სუდების ქუჩა, სახლი № 6.

განცხადებანი

თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ.

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; 2) ვასილ კუციავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის სადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულიევთან.

ექიმი ირ. ცეხანოვსკი ლებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

თფილისი, ნაძალადევი.

ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. ღოლიძე გადავიდა ნაძალადევში რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში.

სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და საღ. 5—7 საათ.

ჭიათურაში

ჟურნალ-გაზეთების აგენტთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ. „ჩვენი ცხოვრება“-ზე. მიიღება აგრეთვე ყოველგვარი განცხადებები, იმავე გაზეთში მოსათავსებლათ. ამასთანავე ზოგიერთ აქაურ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ დროზე გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიში; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოვაქვეყნოთ და თუ ამ საშუალებამაც არ გაჭრა, მაშინ მათთვის უფრო შესაფერ სასტიკ ზომასაც მივმართავთ.

გაზ. ბიუროს აგენტი ჭიათურაში.

ფოთში ჩვეულებრივ მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ჩვენი ცხოვრებაზე“ ბინაზე მიტანის არ გადახდებათ, აგრეთვე მიიღება საგაზეთო განცხადებები.

P. S. მოვაგონებთ იმ პირებს, რომლებსაც სამი და ექვსი თვის განმავლობაში ბინაზე მიტანილი გაზეთების ფასი არ გადაუხდია, ვთხოვთ 20 ივლისამდე შემოიტანონ.

პატივის ცემით ს. დ. ორაგველიძე.

Курсистка Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметамъ, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

ექიმი მ. მგალობლიშვილი იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 1, პოლიცმესტრის კანცელარიის პირდაპირ.

## კოოპერაცია ჩვენში

ამ ბოლო დროს ჩვენში პრაქტიკულათ იდგამს ფეხს კოოპერატიული მოძრაობა. არსდება სასოფლო დუქნები, კოოპერატივები, როგორც ეძახიან სოფლებში; იხსნება კოოპერატიული სავაჭროები, ფურნეები და სხვ. ქალაქებში.

თავისთავათ ცხადია—ეს მეტათ სასარგებლო და საიამოვნო მოვლენაა; მარა სწორეთ ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს.

კოოპერატიული მოძრაობა დიდი და ძლიერი იარაღია. სხვა და სხვა თეორეტიკოსები და მოაზრენი მის მნიშვნელობის შესახებ ერთი შეხედულებისა არ არიან. ზოგთათვის იგი მხოლოდ ერთი ფორმაა ბურჟუაზიულ ურთიერთობით ნაკარნახევი, მის წიაღში გამწვავებულ კლასობრივი ურთიერთობის შემასუსტებელი და მომალუნებელი, შრომის და კაპიტალის მომრიგებელი, და აგრე ამ ქვეყნიური მშვიდობის და სათნოების დამკვიდრებელი კერძო საკუთრების და კაპიტალიზმის ნიადაგზე.

მეორეთა აზრით იგი უძლიერესი საშვალებაა ამ ურთიერთობის უმტკივნეულოთ გადამქრელი და ახალ ურთიერთობის დამმყარებელი. იგი თავისუფალი კავშირია, წარმოების და ნაწარმოების განაწილების მომწესრიგებელი ე. ი. თანამედროვე ურთიერთობის ძირითად პრობლემების გადამჭრელი.

ამნაირათ ერთნი მის მოქმედებას თანამედროვე ცხოვრების ფარგლებით საზღვრავენ, მეორენი კი მას მის დამარხველ ძალათ სახვენ. პირველს უმთავრესათ აღიარებენ ლიბერალური მეცნიერ-პროფესორები. მეორეს უტოპიური დემოკრატიზმით გატაცებულნი. ეს მეორე შეხედულება მეტათ გავრცელებულია რუსეთის კოოპერატიულ მოძრაობის თეორეტიკოსთა და ხელმძღვანელთა შორის და აქედან ჩვენშიაც იკიდებს ფეხს.

ჩვენ კი გვგონია, რომ ერთნიც და მეორენიც შემცდარი არიან თავის უკიდურესობაში.

კოოპერატივი არც შრომისა და კაპიტალის მომრიგებელია და არც ახალი სოციალური ურთიერთობის დამმყარებელი. პირველი დებულება ლიბერალური თავის მოტყუებაა; მეორე უსაფუძვლო ფანტაზიორობა.

დღევანდელი ურთიერთობის გარდამქნელი ძალა სულ სხვაგანაა. იგი კაპიტალიზმის წიაღში წარმოშობილი კლასობრივი წინააღმდეგობა და ბრძოლაა...

საინტერესოა, რომ როგორც პირველი, ისე მეორე შეხედულება ამ გზას გვერდს უვლის და კლასთა ბრძოლის გარეშე ცდილობს ცხოვრების წინააღმდეგობით მორიგებას, ერთი მისი მოდუნებით, მეორე ჩუმი გარდაქმნით. არსებითათ კი ორივეს ერთი შედეგი აქვს.—თანამედროვე ცხოვრების უმთავრეს ღერძის მიჩქმალვა და ასე მშრომელი მასის ბურუსში გახვევა.

ნამდვილი, რეალური მნიშვნელობა კოოპერატივის ცხოვრების წარმატებისათვის დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ ეხმარება იგი იმ უმთავრეს ძალას, კლასიურ ბრძოლას, თავის მიზნის მიღწევაში.

მხოლოდ ამ თვალსაზრისით განხილული კოოპერატიული მოძრაობა მოუტანს მშრომელთ ნამდვილ სარგებლობას.

კოოპერაციას დღეს მრავალი სახე აქვს. არის კოოპერატივი სოფლის, და ქალაქის. ამ უკანასკნელში კი მუშათა კოოპერატივი და კოოპერატივი „ობივატელის“, უბრალო მცხოვრებლების.

სოფლის კოოპერატივებს უმთავრესათ ჩვენში, წვრილი კრედიტის და სასოფლო დუქნების სახე აქვს მიღებული. ქალაქში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების ან მომხმარებელი დუქნის. თვითეულ ამათგანს თავის განსაკუთრებული ხასიათი აქვს და განსაკუთრებული გავლენა. ზოგიერთი მათგანი, როგორც სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებები, საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ წვრილ მწარმოებელთა ინტერესებს ემსახურება და მის კლასობრივ მნიშვნელობაზე ლაპარაკი, თავისთავათ ცხადია, შეუძლებელია.

უდიდესი მნიშვნელობა ამ მხრივ აქვს მხოლოდ მომხმარებელ საზოგადოებებს; მომხმარებელი საზოგადოება იცილებს თავიდან მევახშე-მესაშვალეების კლანჭებს, და საღ და შედარებით იაფ სანოვაგეს და სხვა საქონელს აწვდის თავის წევრებს. ესაა მისი ეკონომიური მნიშვნელობა. ცხადია, დღევანდელ საწარმოვო ურთიერთობას იგი ვერ გააუქმებს. მწარმოებელი კოოპერატივი ხომ თვითონაც იძულებულია კაპიტალისტურ კონკურენციის ნიადაგზე დადგეს და მაშასადამე გარდაქმნაზე ლაპარაკი აქაც ზედმეტია.

მაშ რაშია მათი სოციალური მნიშვნელობა?

ასეთი მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა წარმოსდგება იქიდან, რომ კოოპერატივი მასიური ორგანიზაციაა, სადაც მრავალ მუშა ხალხს შეუძლია თავი მოიყაროს. ასეთია უმთავრესათ მომხმარებელი საზოგადოება. საწარმოო კოოპერატივში კი ეს უფრო ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, ამიტომ მისი მნიშვნელობა მომხმარებელ კოოპერატივთან მჭიდრო კავშირით განისაზღვრება.

ამიტომ მომხმარებელი საზოგადოება, სასოფლო დუქნები, უმთავრესი და საუკეთესო ფორმაა კოოპერატიულ დაწესებულების. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. —მომხმარებელი საზოგადოების მნიშვნელობა იზრდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენათ დაკავშირებულია იგი მუშათა მოძრაობის სხვა ფორმებთან, რამდენათ წარმოადგენს მათთან ერთათ ერთ მთელს. ეს ძირითადი დებულებაა, რომლის გარეშე კოოპერატიული მოძრაობა უეჭველათ დაკარგავს თავის მიმზიდველობას ნამდვილი დემოკრატიისთვის და მხოლოდ წვრილ-ბურჟუაზიულ წისქვილს აატრიალებს...

ამ გზის აცდენა არც ისე ადვილია; იგი მხოლოდ მუშათა წრეშია შესაძლებელი. და აქაც მას ბევრ დაბრკოლებებს ახვედრებს წინ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სინამდვილე. ამ დაბრკოლებაზე აქ არ შევჩერდებით. ისინი ყველასთვის ცნობილია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს დაბრკოლებები ერთი უმთავრესი მიზეზია მუშათა შორის მომხმარებელი კოოპერატივების სიმცირის და ხანმოკლე სიცოცხლის. და თუ დღეს უმთავრესათ წვრილ კრედიტის და სასოფლო დუქნების დაარსებისაკენ არის მიმართული ჩვენ ახალგაზრდა კოოპერატორთა ენერგია—ეს იმას გვიჩვენებს, რომ ისინი იქით მიიწევენ, სადაც ნაკლებია წინააღმდეგობა, და ძნელს კი გაურბიან. ეს თავისთავათ კიდევ დიდი უბედურება არ იქნება, თუ ამ ცალმხრივ მუშაობას შედეგათ არ მოყვა ის ცალმხრივი და არსებითი მავნე უტოპისტური შეხედულება კოოპერაციაზე, რომელზედაც ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი...

დრო კია სიძნელეს არ შევუშინდეთ და კოოპერატიულ მოძრაობას იქ ჩავუყაროთ მკვიდრი საფუძველი, საიდანაც ის სწორ გზის მაჩვენებლათ და მასთან დიდმნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორათ გადაიქცევა ე. ი. კლასიურათ გაცნობიერებულ მუშათა წრეში.

## ახალი ამბები.

ჯერ-ჯერობით ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას საზამთრო სეზონისათვის დასში მიუწვევია—ქ-ნი ნინო ჩხეიძე, ბ-ნი ქორელი, დ. ჩარკვიანი და მურუსიძე.

✦ მსახიობ შალვა დადიანს განუზრახავს მომავალ ზამთრისათვის შეადგინოს „ქართველ არტისტების ამხანაგობა“. ამხანაგობის მიზანი იქნება ქართული წარმოდგენების მართვით სამსახური გაუწიოს სამ შავი ზღვის პირა ქალაქს: ბათუმს,

სოხუმს და ფოთს. ზემოაღნიშნულ საქმის უკეთ მოსაწესრიგებლათ დადიანს თანხაც უშოვია. ჯერ-ჯერობით ამხანაგობაში შესვლის თანხმობა განუცხადებია: ქ-ნ. ელ. ანდრონიკაშვილს, ივ. ბარველს, პლ. კორიშელს, და ალ. ყალაბეგიშვილს. ამათ გარდა ცასში ორი ახალი ინტელიგენტი ძალა მიიღებს მონაწილეობას. სეზონის დაწყება განზრახულია ეკენისთვის პირველ რიცხვებში.

✦ 15 მარიობისთვიდან კავკასიის საბრეშუმო სადგური შეუდგება აბრეშუმის თესლის შემოწმებას.

✦ ამ დღეებში ქუთაისში მოელიან ნაცვლად გულშაკოვისა და ლეონტიევისა ახლად დანიშნულ დირექტორებს ქუთაისის რეალურ სასწავლებლისას და კლასიკურ გიმნაზიისას.

✦ როგორც ამას წინად აღვნიშნეთ ქუთაისში საარჩევნო სიებში ჩაეწერა 2 ბინის დამქირავებელი და 2 პენსიონერი. ამათ რიცხვს კიდევ 5 კაცი მოემატა.

✦ მარსელიდან ქუთაისში ცნობა მოვიდა—იტყობინებიან: აბრეშუმის პარკის ფასმა ცოტათი აიწიაო.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადულის" მე-13 №, მცირე წლოვანთათვის, რომელშიც მოთავსებულია ნაწარმოებნი ზომლეთელისა, გარიყულისა და სხვ.

### თფილისი,

✦ ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ 19 ივლისის ნაშუადღევის ორ საათამდე სამსახურის ცენზით საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან—2437 კაცი და საერთო—1873.

— გუშინდლამდე ქალაქის გამგეობაში განცხადებანი შეიტანეს და საარჩევნო სიებში ჩაწერა ითხოვეს: 27 ბინის დამქირავებელმა, რომელნიც ბინის სახელმწიფო გადასახადს არ იხდიან, 2—ცოლის რწმუნებით და 5 პენსიონერმა.

— გუშინდლამდე სასტასტიკო ბიურომ ბინის გადასახადის ცენზით საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან —454 კაცი, ხოლო საერთოდან—1164

— სავაჭრო-სამრეწველო გადასახადის ცენზით გუშინდლამდე ბიურომ საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან —85 კაცი და ადგილობრივ კურიიდან —57.

— იტალიის თფილისელმა ელჩმა, გუშინ ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა სია თფილისში მცხოვრებ იტალიელებისა, რომელნიც საარჩევნო სიებიდან ამოშლილ უნდა იქმნენ. სულ 58 კაცი ყოფილა.

იმ ხარკის ამკრეფ ინსპექტორების სია, რომელთაც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების სამაზრო კომისიებში უნდა მიიღონ მონაწილეობა: თფილისის მაზრაში—(ბინა თფილისი) სტ. სოვ. ლორთქიფანიძე, ახალქალაქის—ბინა ახალქალაქში—ნად. სოვ. თავ. მაყაშვილი, ახალციხისა—ნად. სოვ. კვალიაშვილი, ბორჩალოსი—შულავერში—კოლ. სოვ. თავ. ვეზიროვი, გორის მაზრაში სტ. სოვ. ყორღანოვი, სიღნაღის—კოლ. ას. ჭანაშვილი, დუშეთისა—კოლ. ას. ისარლოვი, თელავის შტაბს-კაპიტანი პეტროვსკი, და თიანეთის მაზრაში საგ. სეკრ. მარჩევსკი.

### შავი ქვის გაზიდვა ჭიათურის რაიონიდან.

| | 1912 | 1911 | 1910 |
|---|---|---|---|
| ივნისი | 7.815750 | 6.537000 | 5.423250 |
| 6 თვ. განმავლობ. | 24.638200 | 23.119950 | 25.978950 |

### გაიტანეს ზღვით ფოთიდან და ბათუმიდან.

| | 1912 | 1911 | 1910 |
|---|---|---|---|
| ივლისი | 8.251203 | 6.561915 | 5.893380 |
| 6 თვ. განმავლობ. | 24.451750 | 21.733889 | 25.360408 |

შავი ქვის გაზიდვა სხვა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე წლის ივნისის განმავლობაში განაწილებულია ამგვარათ:

| | | |
|---|---|---|
| დიდ ბრიტანეთში | 1.808,349 | ფუთი. |
| ჰოლანდიაში . . . | 1.758,794 | „ |
| ბელგიაში . . . . | 2,135,960 | „ |
| ავსტრო-უნგრეთში | 279,123 | „ |
| საფრანგეთში . . . . | 371,749 | „ |
| გერმანიაში . . . . . | 689,905 | „ |
| ჩდ. ამერ. შეერ. შტ. | 1.207,323 | „ |
| სულ | 8.261,203 | „ |

ამ რიცხვიდან ფოთიდან გასულა 4.984,462 „
ბათუმიდან „ 3. 266, 741 „

# დეპეშები.

პ. დ. ს.

19 ივლისი.

### რუსეთი,

**პეტერბურგი.** დააჯარიმეს გაზეთი „რუსკოე ზნამიას" რედაქტორი 500 მ. 18 ივლ. ნომერში ფელეტონის „სკაზკა ო ბელომ ბიჩკე"-ს მოთავსებისათვის.

დააჯარიმეს „პრავდა"-ს რედაქტორი 500 მ. სტატიის: „შავრაზმელთა გამარჯვება"-ს მოთავსებისათვის.

დააპატიმრეს გაზ. „პეტერ. ვედომოსტების" მე 162 ნომერი.

საზღვაო სამინისტროში შედგა განსაკუთრებული უწყებათაშორისა თათბირი, რომელიც გამოარკვევს საზღვაო უწყების ქარხნების ფინანსიურ მდგომარეობას იმ მიზნით, რომ წინასწარ შეიმუშაოს ზომები ხსენებულ ქარხნების ახალ დებულების შესადგენათ, რათა გემ-ხომალდების შენება გაიიაფოს.

### უცხოეთი.

**ვაშინგტონი.** ნიკარაგუაში რევოლიუციამ იფეთქა. ქალაქი მანგუა 16 ივლისიდან სხვებზე მოწყვეტილია.

**ურგა.** აქ რამდენიმე სხვადასხვა ოლქიდან დეპუტაციები გამოცხადდნენ ოფიციალური წერილებით, რომ ეს ოლქები შეერთებული არიან ხალხებთანო.

**მუკდენი.** დააწესეს მთავარ სარდლობის თანამდებობა მუკდენის, გირინის და ციციკარის პროვინციებში

**ლონდონი.** მუშებმა დაადგინეს შეუდგენ მუშაობას.

**სოფია.** აქ მოიყვანეს ოსმალეთის ჯარიდან გაქცეული ბულგარელი.

### ოსმალეთი.

**კონსტანტინოპოლი** მთავრობისაგან წარმოდგენილი შესწორება კონსტიტუციის მეშვიდე მუხლის შესახებ ამბობს: არაჩვეულებრივ გარემოებათა შემთხვევის დროს სულთანს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი, თუ ის წინდაწინვე გაცნობილია ამ საკითხის შესახებ სენატის აზრს; მარა ახალის მოწვევა სავალდებულოა ექვსი თვის ვადაში. ასეთი შესწორება სრულიათ აუქმებს იმ ორ პირობას, რომელსაც წინეთ მოითხოვდენ.

### სპარსეთი.

**თავრიზი.** არდებილიდან იუწყებიან, რომ როცა გენერალ ფიდაროვის რაზმი სოფ. უხარს უახლოვდებოდა, შახსევანებმა უნარის მაღლობებიდან ცხარე სროლა აუტეხეს მას: საღამოს შვიდ საათზე შახსევანები ძლეულ იქნენ და პოზიციები დაატოვებინეს მათ, და სოფელი დაიკავეს რუსებმა. შახსევანებს ბევრი დაუჭრეს და ბევრიც მოუკლეს. აგარადან იუწყებიან, რომ იქაც მოხთა ბრძოლა. 16 ივლ. ხაჯამინელები ძალიან მიუახლოვდენ პოლკოვნიკ ტოლმაჩევის რაზმს, რომელსაც გაუმართეს ბრძოლა, რაც დილიდან საღამოს ექვს საათამდე გაგრძელდა. შახსევანები აქაც დამარცხდენ. ყველა ის სოფლები, სადაც შახსევანები თავს იფარავდენ, დასწვეს.

**ხოი.** რუსეთის ელჩმა, ენერგიული პროტესტი გამოუცხადა ოსმალეთის ელჩს ოსმალეთის ასკერების მირომარის მიდამოებში რუსის აფიცერზე, ნიკიტინზე თავდასხმის გამო.

## წერილი ბათუმიდან.

ბათუმის ქალაქის გამგეობის ერთ „სასახელო" საქციელის გამო.

ამ ერთი თვის წინათ აქ ჟანდარმთა მართველობის განკარგულებით რ ამდენიმე პირი დაატყვევეს; მათ შორის ორი ბათუმის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურე. ამ ორი უკანასკნელის შესახებ ჟანდარმთა გამგეობას ოფიციალურათ უცნობებია ქალაქის გამგეობისათვის, რომ ისინი დატყვევებული არიან. ამ ბოლოს გამოირკვა, რომ დატყვევებულებს თავდებობის ქვეშ განთავისუფლებდნენ; ერთი უკვე განთავისუფლებულიყო თავდებო თანხის წარდგენით. მაშასადამე შესაძლო იყო, რომ თვითმმართველობის დატყვევებული ორი მოსამსახურე, თუ ისინი თავდებს იშოვიდენ, ისევ დაუბრუნდებოდენ სამსახურს. მარა ეს არ აცალა მათ ბათუმის ქალაქის გამგეობამ. მას დაუდგენია: გამოირიცხოს ქალაქის სამსახურიდან ის ორი დატყვევებულნი და და ეცნობოს ეს მათ. და მართლაც გამოუცხადეს ეს დატყვევებულ მოსამსახურეთ და ხელიც მოაწერიეს მათ ამის შესახებ. აქ აღსანიშნავია, სხვათა შორის, ერთი გარემოება: ერთი დატყვევებულთაგანი დატყვევების დროს უკვე განთავისუფლებული ყოფილა სამსახურიდან ვადით („ოტპუსკი" ქონია აღებული) და განთავისუფლების ვადა მას ჯერ არ გასულია. მეორე მსახურებდა ქალაქის ლომბარდში, რომლის მოსამსახურენი ინიშნება არა ქალაქის გამგეობის მიერ, არამედ ლომბარდის გამგესაგან. ამავე გამგეს უფლებას შეადგენს ლომბარდის მოსამსახურეთა დათხოვა. ლომბარდის დატყვევებულ მოსამსახურის მაგიერათ დროებით ლომბარდში უკვე ყავთ მოსამსახურე მოწვეული. აქედან ცხადია, რომ როცა ქალაქის გამგეობა სამსახურიდან ითხოვდა აღნიშნულ ორ პირთ, ის არ ხელმძღვანელობდა მით, რომ ქალაქის საქმე არ ითმენს დაცდას და დატყვევებულთა ალაგას უთუოდ უნდა დაინიშნოს დატოვებულ საქმის ინტერესებისათვის სხვა პირები. ეს მტკიცდება მით, რომ ერთ დატყვევებულ მოსამსახურეთაგანს „ოტპუსკის" ვადა ერთი თვის შემდეგ უსრულდება და, მაშასადამე, სულ ერთია—მას დაატყვევებდენ თუ არა, ის მაინც განთავისუფლებული იყო გამგეობისაგან ვადით, ვადა კი ჯერ მას არ გასულია. მეორის ალაგას კი ლომბარდში უკვე ყავთ მოწვეული დროებით მოსამსახურე. ამას გარდა, ქალაქის გამგეობა რათ ითხოვდა სამსახურიდან იმ პირს, რომლის დათხოვის უფლება ლომბარდის გამგეს კომპეტენციას შეადგენს!

# ფელეტონი.

## პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში.*)

### II გერმანია

თუ ინგლისში პარლამენტალური წესწყობილება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა და იქაურ პარლამენტს ერთი მწერლის აზრით „ყველაფერი შეუძლია, გარდა დედაკაცის მამაკაცად გადაქცევისა" სულ სხვა სურათი გვეხატება თვალწინ, როდესაც გადავდივართ გერმანიაზე და ყურადღებას ვაქცევთ მის ცენტრალურ დაწესებულებებს. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ დღევანდელი გერმანიის კონსტიტუციონური მდგომარეობა, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ თვალი გადავავლოთ მის ისტორიის გასულ საუკუნეში.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დღევანდელი გერმანია დაყოფილი იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და ავსტრიასთან ერთად შედიოდა ერთ კავშირში, რომელსაც აზრად ქონდა „დაცვა შინაური მშვიდობიანობა კავშირში მყოფ სახელმწიფოებისა და თან გაემაგრებია კავშირი გარეშე მტრების წინააღმდეგ." მკითხველი ადვილად მიხვდება ამ მიზნის შინაარსს, თუ გაიხსენებს, რომ ამ დროს იწყებოდა გერმანიის კავშირის სხვა და სხვა სახელმწიფოეპში ლიბერალური მოძრაობა და მეორე მხრით გერმანიის მეფეებს არ ქონდათ დავიწყებული ნაპოლეონის ჯარის ბატონობა. სწორედ ეს თავისი დაცვა შინაგანი და გარეშე მტრებისაგან უმთავრესი მიზეზი იყო გერმანიის კავშირის დაარსებისა. ერთად ერთი ორგანო კავშირისა იყო საკავშირო სეიმი, რომელიც შესდგებოდა არა სახელმწიფოების მიერ თავისუფლად არჩეულ დეპუტატებისაგან, არამედ ცალკე მეფობის მიერ დანიშნულ მოხელეებისაგან (ჩინოვნიკებისა და ელჩებისაგან). ამ სეიმის სხდომები, ავსტრიის ელჩის თავმჯდომარეობით, ფრანკფურტში უნდა მომხდარიყო. ყველა დადგენილება ერთხმათ უნდა ყოფილიყო მიღებული და თუ ერთი რომელიმე სახელმწიფოს წარმომადგენელი ოპოზიციაში დარჩებოდა, წინადადება უარყოფილათ ითვლებოდა. სწორედ ამისთვის მაშინდელ გერმანიას კონფედერაციას ეძახიან; ასე რომ, გერმანია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (1815) კონფედერაციას წარმოადგენდა, სადაც საერთო კითხვები დელეგატების, ან უკეთ ვსთქვათ, მათ გამომგზავნ სახელმწიფოების მიერ ერთხმათ უნდა ყოფილიყო მიღებული. აქვე შევნიშნავთ, რომ მთელ თავის არსებობის ხანაში გერმანიის სეიმს არც ერთი სერიოზული კითხვა არ გადაუჭრია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თუ ზემოდ თქმულს დაემატება, რომ კავშირში შესულ სახელმწიფოებს თავიანთი უფლებები უკლისათ შერჩათ: თითოეულ სახელმწიფოს შერჩა თავისი კანონმდებლობა, თავისი საკუთარი ჯარი და დიპლომატია, ე. ი. მთელი საგარეო პოლიტიკა. გერმანია გაერთიანებულიყო ფორმალურად, ხოლო ფაქტიურად ცალკე სახელმწიფოებმა სრული დამოკიდებულება შეინარჩუნა. ასეთ პირობებში წარმოიშვა გერმანიის ლიბერალური მოძრაობა, რომელმაც წამოაყენა ორი ლოზუნგი: პოლიტიკური თავისუფლება და გერმანიის გაერთიანება. პატარა სახელმწიფოები იძულებული იყო დაეთმო ხალხური მოძრაობისთვის და კონსტიტუცია გამოეცხადებია, რომელსაც თან ახლდა კრებების და პრესის თავისუფლება. მაგრამ ორი დიდი სახელმწიფო, რომელიც გერმანიის კავშირში შედიოდა—ავსტრია და პრუსია—ქედს არ იხრიდა და მედგრად ებრძოდა ლიბერალურ მოძრაობას. ჩვენ უკვე ვიცით, რომ კავშირი დაარსდა „შინაური და გარეშე მტრების"ს წინაამდეგ. შინაური მტრები— ეს ლიბერალები, თავისუფლებისთვის მებრძოლნი გამოდგენ. ამავე დროს ისინი იბრძოდენ გერმანიის გაერთიანებისთვის საკავშირო სეიმის წინ შემდეგი კითხვა დაისვა. მას, როგორც გაერთიანებულ გერმანიის წარმომადგენელს, რომ ხელი გაეწვდინა ლიბერალებისათვის, ამით ის მხარს დაუჭერდა კონსტიტუციონურ მოძრაობას. ხოლო თუ ის ლიბერალურ მოძრაობას შეებრძოლებოდა, ამით დაახრჩობდა შეერთების მატარებელ ძალას; სპობდა იმ ბოძს, რომელზედაც თვითონ ემყარებოდა; კლავდა იმ იდეას, რომლის მატარებელი თვითონ იყო. სეიმი მოიქცა ისე, როგორც შეეფერებოდა მეფეების მოხელეთა კრებულს. მან ომი გამოუცხადა ლიბერალურ მოძრაობას და მის ჩასაქრობად სასტიკ ზომებს მიმართა. „არ გვინდა გერმანიის გაერთიანება, თუ მას თან ახლავს პოლიტიკური თავისუფლება და სახელმწიფოს დემოკრატიზაცია"—წამოაყენეს ლოზუნგად ფრანკფურტში დაბინავებულ სეიმის წევრებმა და შინაური მშვიდობიანობის აღსადგენად ცალკე სახელმწიფოების მთავრობისაგან, სადაც მოძრაობას ფართო ხასიათი ქონდა, სასტიკ ზომების მიღება მოითხოვეს. მეცხრამეტე საუკუნის მეოცდაათე წელში გერმანიის კონფედერაციაში, ციხეები პოლიტიკურ პატიმართა ბინად გადაიქცა. პრუსიაში ოცდაცხრამეტ სტუდენტს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. ბადენში ლიბერალ პროფესორებს ლექციების კითხვა აუკრძალეს. ბავარიაში ერთი მწერალი ოთხი წლით წინასწარ ციხეში ჯდომის შემდეგ იძულებული იყო მეფის სურათის წინ ბოდიში მოეხადა, და მთელი თავისი სიცოცხლე ციხეში გაეტარებია სულ უბრალო რამისთვის. რეაქცია გამეფდა მთელ შეერთებულ გერმანიაში. ამ რეაქციას დარაჯად უდგა ფრანკფურტის უსაქმო სეიმი, რომელსაც საქმე გაუჩნდა. ხოლო სეიმს დარაჯად უდგა ცნობილი ავსტრიის რეაქციონერი მეტტერნიხი.

ისტორიაში რეაქციას ყოველთვის რევოლიუცია მოყოლია. ასე მოხდა გერმანიაშიც. 1848 წელს პრუსია, ეს რეაქციის ბოძი, რევოლიუციის ასპარეზად გადიქცა. „მეფის მოყვარე" პრუსიელებმა ბერლინის ქუჩაზე ბარიკადები გამართეს და მეფეს შეუტიეს. პრუსიის მეფე ვერ გაუმაგრდა ხალხს, და მთლად რომ გვირგვინი არ დაეკარგა, დათმობის გზას დაადგა. მან კონსტიტუცია გამოაცხადა. იგივე მოხდა კონფედერაციის სხვა სახელმწიფოებშიაც. რეაქციის დარაჯს, ავსტრიის მთავრობას, სახლში გაუჩნდა ცეცხლი. ვენის ქუჩები ბარიკადებით მოიფინა და საბრალო ავსტრიის იმპერატორმა ვენიდან მოკურცხლა, უშველა თავს და მთებში მიიმალა. გერმანიის ლიბერალები ძველი ლოზუნგის განხორციელებას შეუდგნენ: პოლიტიკური თავისუფლება და გერმანიის გაერთიანება. ლიბერალების ლტოლვილების გამომხატველი—ფრანკფურტის საერთო პარლამენტი შეიქნა. ძველი სეიმის გვერდით ახალი ორგანო წამოიშვა. ორივე ერთი იდეის გამომხატველი იყო. სეიმი ფორმალურად აერთებდა მთელ გერმანიას (ავსტრიითურთ) და წარმოადგენდა ცალკე სახელმწიფოთა კრებულს. ის სულდგმულობდა თავისი უსაქმობით და პოლიტიკურ განთავისუფლებასთან ბრძოლით. ის რეაქციის იარაღი იყო. მის გვერდით წარუდგა ხალხს პარლამენტი, არჩეული დემოკრატიული სისტემით, გაერთიანების და პოლიტიკური თავისუფლების გამომხატველი, ძლიერი თავისი იდეით, უძლური რეალური ძალით. მას არ ემორჩილებოდა ჯარი. ადგილობრივი მთავრობები, რომელთაც შერჩათ ძალა, მის მოქმედებას ყურადღებას არ აქცევდენ, მის დადგენილებას აბუჩად იგდებდენ. და როდესაც ამ პარლამენტმა დაადგინა: გაერთიანდეს გერმანია (ავსტრია არ შედიოდა ამ გაერთიანებულ სახელმწიფოში), ხოლო გერმანიის იმპერატორის გვირგვინი პრუსიის მეფეს უთავაზა, უკანასკნელმა შემდეგი პასუხი გასცა მათ: „თუ ვინმე მიიღებს გვირგვინს, როგორც გერმანელების მეფე, ამ გვირგვინს მივართმევთ მე და ჩემი თანასწორები, ხოლო მე უარვყოფ ხისას, ტალახიან გვირგვინსო". ფრანკფურტის პარლამენტს არ უნდოდა რესპუბლიკა, პრუსიის მეფეს არ უნდოდა მისგან წყალობა. რევოლიუციის მიერ დამარცხებული, ის ისევ მოღონიერდა და ფრანკფურტის პარლამენტს არაფრათ არ აგდებდა. ფრანკფურტის პარლამენტი დემოკრატიული კონსტიტუციის მატარებელი იყო; პრუსიის მეფე კი ფრთა შეკვეცილ კონსტიტუციას უთმობდა ხალხს. პრუსიის პარლამენტში (ლანდტაგში) არისტოკრატიის ხელში იყო კანონმდებლობა, რადგანაც ისინი ირჩევდენ დეპუტატებს. შერიგება აქ შეუძლებელი იყო. დავა ბრძოლით უნდა გათავებულიყო. ამ ბრძოლაში პრუსიის გვარდიამ ბოლო მოუღო ფრანკფურტის პარლამენტის არსებობას. გაერთიანების იდეის მატარებელი დემოკრატიული პარლამენტი მოისპო. სცენაზე გამოჩნდა ისევ ჩვენი ძველი ნაცნობი კავშირის სეიმი, სადაც ავსტრია ბატონობდა. დაიწყო ისევ რეაქცია. 1848 წლის რევოლიუციის დროს ბევრმა სახელმწიფოებმა და, სხვათა შორის, პრუსიამაც, ლიბერალური კონსტიტუცია შემოიღეს, ხოლო რეაქციასთან ერთად დათმობა კი უკან წაიღეს, მარა კონსტიტუცია სრულიად მაინც ვერ მოსპეს. საარჩევნო უფლებები შეზღუდეს, პოლიტიკურ თავისუფლებას ფრთა შეაკვეცეს, მეფის უფლება ისევ გააფართოვეს. რევოლიუციის ნაყოფად გერმანიის ცალკე სახელმწიფოებში ოლიგარხიული კონსტიტუცია დარჩა. ასეთია დღესაც პრუსია.

მართალია, ფრანკფურტის პარლამენტმა ვერ განახორციელა გერმანიის ერთობა, ხოლო ეს პოლიტიკური აუცილებლობა ემყარებოდა გერმანიის ეკონომიურ განვითარებაზე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. რაც შეუძლებელი შეიქნა დემოკრატიული პარლამენტისთვის, ის შესაძლებელი გახდა ბისმარკისთვის. პრ. ბორჟოს აზრით, მეცხრამეტე საუკუნეში ორი პიროვნება ქმნის ისტორიას. ერთი მხრით ნაპოლეონი, რომელიც ანგრევს; მეორე მხრით ბისმარკი, რომელიც აშენებს. ჩვენ არ შევეხებით ნაპოლეონს, ხოლო ბისმარკზე ვიტყვით იმას, რაც მკითხველსაც მოუვიდოდა აზრად. იმან განახორციელა ის, რასაც ეთაყვანებოდა მთელი ლიბერალური გერმანია, იმან დაასრულა ის, რაც მაზე უწინ დაიწყეს, ისტორია მისთვის მუშაობდა. ის იყო პრუსიის მინისტრი. მის ხელში იყო საუკეთესო და გაწრთვნილი ჯარი. გერმანიის გაერთიანება აუცილებელი იყო. კითხვა იმაში იყო, თუ ვინ იქნებოდა გაერთიანებულ გერმანიის გეგემონი: ავსტრია თუ პრუსია. ორივეს გეგემონობა უნდოდა. დავა გადასწყდა ომით. ავსტრია ძლეულ იქნა (1866 წელს). კავშირის სეიმიდან, სადაც ის თავმჯდომარეობდა, სამუდამოდ გამოვიდა. მისი ადგილი პრუსიამ დაიჭირა, რომელმაც შეერთებულ გერმანიისთვის ახალი კონსტიტუცია შეიმუშავა. 1871 წ. შეერთებულ გერმანიის მეფეებმა გვირგვინი გერმანიის იმპერატორისა პრუსიის მეფეს მიართვეს. იმან დიდის სიამოვნებით მიიღო ეს გვირგვინი, რომელიც „არ იყო ხისა და ტალახიანი", რადგანაც მას ის მისმა თანასწორებმა, მეფეებმა, შესთავაზეს. აქედან იწყება გერმანიის საერთო ცხოვრება. შეერთებულ გერმანიას აქვს თავისი კონსტიტუცია; ცალკე სახელმწიფოებს შერჩათ თავიანთი პოლიტიკური წესწყობილება სხვადასხვა სახის, რომელიც შეზღუდულია იმპერიის კონსტიტუციის მიერ. ჩვენ ვერ შევეხებით ცალკე სახელმწიფოების კონსტიტუციას. დღევანდელი გერმანიის იმპერია

*) იხ. „ჩვენი ცხოვრება" №

მაშასადამე დღესავით ნათელია, რომ ქალაქის საქმეთა ინტერესების გამო ქალაქის გამგეობას დატყვევებული მოსამსახურენი არ გამოურიცხავს სამსახურიდან. ცხადია, რომ აქ სხვა ინტერესი ამოქმედებდა გამგეობას. თავის საქციელის „გასამართლებლათ“ მას დარჩენია მხოლოთ ერთად-ერთი „არგუმენტი“; ეს ის, რომ მოსამსახურენი პასუხის გებაში მისცეს. პასუხის გებაში მისცეს არა ქურდობისათვის ან კაცის მოკვლისათვის, არამედ მათ აბრალებენ სულ სხვა რამეს; საქმე ჯერ გაურჩეველია და, მაშასადამე, ბრალდება დაუმტკიცებელია, ჯერ არავინ იცის რით გათავდება საქმე. ადვილათ შეიძლება სასამართლომ უდანაშაულოთ ცნოს დატყვევებულნი. ქალაქის გამგეობა კი წინდაწინვე ითხოვს დატყვევებულ მოსამსახურეებს. გუბერნატორს რომ მოეთხოვა გამგეობისაგან მათი დათხოვნა, მაშინ გამგეობას ეს მოთხოვნა უნდა შეესრულებინა, მარა გამგეობისათვის ეს არავის მოუთხოვია. მან თავის ნებით და ესეც მაშინ, როცა გამოირკვა, რომ შესაძლებელია დატყვევებულნი თავდების ქვეშ განთავისუფლდენ, ფიცხლათ დაითხოვა მოსამსახურენი; არ მისცა მათ საშვალება დაბრუნებოდენ თავის სამსახურს თუ რომ თავდებობით განთავისუფლდებოდენ ისინი.

ჩვენ ზემოთ ნათელვყავით, რომ ეს დათხოვნა არ არის გამოწვეული ქალაქის საქმეთა ინტერესების გამო. მაშ რით ხელმძღვანელობდა ამ საქმეში გამგეობა? ცხადია,—იმ სურვილით რომ ყურადღება დაიმსახუროს ვისგანაც ჯერ არს; გამოიჩინოს ზედმეტი ლოიალობა, მოიმოქმედოს ის, რის შესრულება მისთვის არ მოუთხოვიათ. ერთი სიტყვით—დაამტკიცოს, რომ ის უფრო ზედმეტი როიალისტია, ვინემ თვით კოროლი.

ჩვენ გვახსოვს ქალაქის თავის თ. დ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, რომელიც მან მისი ქალაქის თავად არჩევის დროს წარმოსთქვა ხმოსნების წინაშე. მან მაშინ სხვათა შორის სთქვა, რომ ჩემი უპირველესი ყურადღება იქნება მიქცეული იმაზე, რომ ქალაქის თვითმართველობის დროშა ღირსეულათ ვატარო, რომ მაღლა მეჭიროს ისი. კარგი სიტყვებია, მარა ეს მისი საქციელი, რასაც ამ წერილში ვეხებით ჩვენ, წინაალმდეგს ამტკიცებს.

ეს საქციელი აღსანიშნავია და დე იცოდეს საზოგადოებამ, რომ მისი ჩამდენი ბათუმის „პროგრესიული“ გამგეობაა.

**ისარი.**

## საჭირო განმარტება.

ზოგიერთი ქალაქის გამგეობებმა, რომელთაც კანონით მინდობილი აქვთ საარჩევნო სიების შედგენა (მაგ. ქუთაისისამ) პენსიონერებისა და ბინის დამქირავებელთაგან განცხადების მისაღებათ, მარა საარჩევნო სიები ამ ვადაზე არ გამოუქვეყნებიათ, ქ. გამგეობა კი საარჩევნო კანონის მე-56 მუხ ძალით ვალდებულია განცხადებები მიიღოს ყოველთვის, სანამ სიებს დაბეჭდავდეს და გამოაქვეყნებდეს. აი რას ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება ამის შესახებ:

**„დაწესებულებები, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენენ, ვალდებულნარიან მიიღონ განცხადებები ამომრჩევლებისაგან იმ დღემდი, სანამ სიებს ფაქტიურათ გამოაქვეყნებდენ.“**

აქედან, და თვით კანონის ტექსტიდანაც, აშკარათ სჩანს, რომ ქ. გამგეობამ ამრჩევლებისაგან უნდა მიიღოს განცხადება მათი სიაში შეტანის შესახებ მანამ, სანამ სიებს არ გამოაქვეყნებს.

ამიტომ ბინის დამქირავებელმა და პენსიონერებმა უნდა განაგრძონ განცხადებების შეტანა ქალ. გამგეობაში.

# რუსეთი.

(გაზეთებიდან)

**პროფესორის არ დამტკიცება.** პეტერბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკურ ეკონომიის კათედრაზე პროფესორთა საბჭოს მიერ არჩეული ცნობილი ტუგანბარანოვსკი სახალხო განათლების მინისტრმა კასომ არ დაამტკიცა.

**ოცდა-ათი კაცის დახოცვა.** „ბირჟ. ვედომ.“ გადმოცემით დარგინის ოლქის სოფ. გერგაში ომარ-ოღლის სახლი აუშენებია. რომ ძვირათ არ დაჯდომოდა, მუშებათ გამოუცდელი ხუროები ყოლია. მათ დასახმარებლათაც პატარა გოგო-ბიჭები უქირავნია. როცა სახლი მოუთავებიათ, პატრონი უკანასკნელათ გამასპინძლებია მუშებს ახალაგებულ შენობაში. შეზარხოშებულან და ცეკვა თამაში დაუწყიათ. ამ დროს მთელი სახლი ერთიანათ დანგრეულა და ყველა შიგ მოუტანიებია. დახოცილთა შორის ცხრამეტი ქალი ყოფილა—რვიდან ოცდაორ წლამდე და ოთხი ბიჭი—რვიდან ცამეტ წლამდე.

**ლერმონტოვის პანაშვიდი** პიატიგორსკში არქიელმა უარი განაცხადა ლერმონტოვის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდის გადახდაზე. მისი აზრით ლერმონტოვი თვითმკვლელია.

**სამხედრო-საზღვაო სასამართლო.** პეტერბურგში სამხედრო-საზღვაო სასამართლო დახურულ კარებში არჩევს გემის „დვინას“ 69 მატროსის საქმეს, რომელთაც ბრალათ ედებათ სამხედრო—რევოლიუციონურ ორგანიზაციის წევრობა.

**საზოგადოების დახურვა.** კაზანში ადმინისტრაციამ დახურა კომერციული დაწესებულებების მოსამსახურეთა საზოგადოება, რომელიც არსებობდა 1905 წლიდან.

**გაფიცვები.** ვარშავაში ბატცერის ქარხნის მუშების ნაწილი გაიფიცა. ქარხანა დაიხურა

— პეტერბურგში მუშების დამარცხებით დასრულდა ძაფის ქარხნის მუშების გაფიცვა.

**სიტყვის თავისუფლება.** კონფისკაცია უყვეს მედვედევის წიგნაკს „გლეხები და მუშები“.

— ბერდინსკის მაზრის სახალხო შკოლების ინსპეკტორმა სასტიკათ აუკრძალა მის ხელქვეით მასწავლებლებს, რომ გამოიწერონ ჟურნალები „შკოლა ი ჟიზნ“ და „რუსკი უჩიტელ“.

— პერმის გუბერნატორმა ნება არ მისცა რკინის გზის მოსამსახურეთა კოოპერატიულ საზოგადოებას, რომ გამოსცეს კოოპერაციის იდეების გამავრცელებელი ჟურნალი.

— ვილნოში ხუთასი მანეთით დააჯარიმეს ჟურნალი „დრუგია“, რომელიც ლიტვურ ენაზე გამოდის.

# ოსმალეთის ამბები.

ახალი სამინისტრო, რომლის მეთაური გაზი-მუხთარ-ფაშაა, თითქმის სრული წინაალმდეგია ახალგაზრდა ოსმალეთისა, ასე რომ ამ ჟამათ ოსმალეთის მართვა—გამგეობის სათავეში სულ სხვა ძალა დგას და მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ახალი პოლიტიკური კურსის მოწამე ვიქნეთ. მარა ყველაფერი ეს რომ მშვიდობიანის გზით არ მოხდება, ეჭვს გარეშეა; ახალგაზრდა ოსმალები, რომლებმაც დაამხვეს აბდულ-ჰამიდის რეჟიმი, აგრე ადვილათ არ დანებდებიან მოწინაალმდეგე ძალას და ყოველგვარ საშვალებას იხმარებენ ბატონობის შესარჩენათ. უკანასკნელის ცნობებით სტამბოლში კიდეც ჩამოსულა სამასამდე ოფიცერი, რომელნიც ახალგაზრდა ოსმალების პოლიტიკის მომხრენი არიან. ისინი უკვე დღე იკრიბებიან და თათბირობენ იმაზე, თუ რა გზით აღუდგინონ თავიანთ პარტიას გავლენა და ბატონობა. ასე რომ უეჭველია თუ დღეს არა, ხვალ შესაძლებელია მოწამე ვიქნეთ ახალი შეტაკებისა. ამ გარემოებას, რასაკვირველია, ანგარიშს უწევენ ოსმალეთის მეზობელი სახელმწიფოები, რომელნიც უკვე წუთს მზათ არიან ამ მრავალ ტანჯული ქვეყნის განმანადგურებელ ცეცხლზე ხელი მოითბონ. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ავსტრო—უნგრეთსა და გერმანიას შუა საიდუმლო მოლაპარაკებაა იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცენ ოსმალეთის შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ორთავე სახელმწიფოს ანგარება ამოქმედებს და პირველ შეძლებისათანავე ეცდებიან [illegible] თალონ მას. მარა ისიც უნდა [illegible] რომ აგრე ადვილად არავინ [illegible] დეთში. ინგლისი, რომელიც ოსმალეთის ერთ საუკეთესო მეგობრათ ითვლება, რასაკვირველია ხმას აღიმაღლებს; რუსეთიც არ დაიგუბებს პირში წყალს. ამნაირათ, ადვილათ მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდა ოსმალების ცდა თავის ბატონობის აღსადგენათ, პირველი მოქმედება იქნეს იმ ტრაგედიისა, რომელსაც ეწოდება დიდ სახელმწიფოთა შეტაკება.

## წერილი ფოთიდან.

III

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადგილობრივ საშვალო რკინის გზის მოსამსახურეებმა ერთი მხრით დაკარგეს ეგრეწოდებული „პრემიები“ და მეორე მხრით—მუშათა არტელობისაგან „სულის ჭუჭყის“ ალება ზოგიერთების მიერ, მათაც ულვიძებდა მადას საერთო ფლავიდან რამე რგებოდათ. როგორც სჩანს ამ ორმა გარემოებამ გადაადგმევინა მათ ის სახიფათო ნაბიჯი, რომლითაც ფეხი წააკრევინეს მუშათა არტელს და თვითაც ვერა ისარგებლეს რა, ჯერ-ჯერობით მაინც. ზემო აღნიშნულ მიზანს განხორციელება სჭიროდა; ამისათვის მუშაობა იყო საჭირო. მუშაობა ენერგიული და თანაც შეთანხმებული. ამიერ კავკასიის რკინის გზაზე, ზოგიერთ პატარა სადგურზე, როგორც მაგ. ნატანებში, სენაკში და ბორჯომში (რამდენათაც ჩვენ ვიცით) არსებობს ახირებული წესი საქონლის გადაზიდვისა. დასახელებულ ადგილებში რკინის გზის სამართველომ დააკისრა ვაგონების დაცლა-დატვირთვა რკინის გზის მოსამსახურეებს. ამათ ყავთ მუშები დაქირავებული და ასე მოიჯარადრის როლში გამოდიან. ასეთ წესს „საოჯახო წესს“ ეძახიან (хозяйственный способъ). რომ ეს წესი ყოვლათ უვარგისია, ამაზე ლაპარაკიც მეტია. უვარგისია, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა მუშებისთვის, რადგან მათ ზურგიდან რკინის გზის მოსამსახურენი და იმავე დროს „მოიჯარადრენი“ სამმაგ ტყავს იღებენ. მაგრამ არ მგონია რკინის გზის სამართველოსათვისაც იყოს ეს წესი მაინც და მაინც სახეირო. მაგრამ ამ ჟამათ ეს არ გვაინტერესებს.

---

შესდგება ოცდა ექვსი ავტონომიურ პოლიტიკურ ერთეულიდან. (მხოლოდ ქვევით ორ სიტყვას ვიტყვით პრუსიაზე) აქ გავარჩევთ მხოლოდ იმპერიის კონსტიტუციას. რა და რა ელემენტებისგან შესდგება იმპერიის ცენტრალური პოლიტიკური ძალა? როგორაა დაყოფილი ეს ძალა? გერმანიის იმპერატორი, ფედერატიული საბჭო და რეისტაგი (იმპერიის პარლამენტი)—აი ის სამი ელემენტი, რომელიც შეადგენს გერმანიის კონსტიტუციას. განვიხილოთ ცალცალკე ეს ელემენტები. დავიწყოთ იმპერატორიდან.

როგორც ვთქვით, გერმანიის იმპერატორი იმავე დროს პრუსიის მეფეა. მაშ ეს იმპერატორი—მეფეა. არსად ევროპაში, რუსეთის გარდა, იმპერატორს—მეფეს არა აქვს იმდენი უფლება, რამდენიც გერმანიის იმპერატორს. ის წარმომადგენელია მთელი იმპერიის და როგორც ასეთი, მის ხელშია ომის გამოცხადება, ზავის შეკვრა, კავშირის დაჭერა, ელჩების დანიშვნა და სხვა. გერმანიის დღევანდელი იმპერატორი, რომელიც თავის თავს ღვთის მოციქულს უწოდებს, ხან მუსულმანების მფარველობას კისრულობს, ხან ინგლისს გაუშვერს ხელს, ხან ისეთ მუქარით სავსე სიტყვას წარმოთქვამს, რომ მთელ ევროპას შიშის ზარს სცემს. ომის გამოცხადება ფაქტიურად მის ფანტაზიიდან არის დამოკიდებული, თუმცა კონსტიტუციის ძალით—მას ამის უფლება არ აქვს. როდესაც მთელი ხალხის ბედი ერთი კაცის ხელშია, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს კაცი ყოველთვის გონივრულად მოიქცევა და ყოველთვის კარგ გუნებაზე იქნება? გერმანელებმა კარგად იციან ეს და კიდეც იბრძვიან, რომ იმპერატორის უფლება შეკვეცონ, მაგრამ ამაზე შემდეგ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ომის გამოცხადებისთვის საჭიროა ფედერალური საბჭოს თანხმობა. ამ საბჭოზე ჩვენ შემდეგ ვრცლად ვილაპარაკებთ. აქვე კი შევნიშნავთ, რომ ეს საბჭო ჩვენი ნაცნობი სეიმის გაგრძელებაა. მეორე მხრივ, თუ იმპერატორი ხედავს, რომ გერმანიის სამფლობელოს ვინმე ემუქრება, მაშინ საბჭოს შეკითხვაც არ სჭირია მას; ის თვითონ აცხადებს ომს. იმპერატორი ნიშნავს იმპერიის მოხელეებს და ამასთან ის არის სრული, დამოუკიდებელი გამგე-ბატონი ჯარის და ფლოტის. დღევანდელ იმპერატორს ვილჰელმს ძლიერ უყვარს სიტყვების წარმოთქმა და ის ხშირად უთითებს ჯარს კონსტიტუციის იმ მუხლზე, რომელიც ავალებს ჯარს დაემორჩილოს უეჭველად ბრძანებას, იმპერატორისგან გამოცემულს. მაგ. შვილმა უნდა ესროლოს მამას, თუ კი იმპერატორი ბრძანებს. ვსთქვათ სადმე გაფიცვაა მუშების, მათი შვილები კი ჯარში მსახურებენ. ისინი ვალდებული არიან ესროლონ მამებს, თუ კი იმპერატორმა ბრძანა. ასე ამბობს კონსტიტუციის 63 და 64 მუხლები. რა უფლებები აქვს იმპერატორს კანონმდებლობაში, ამას ჩვენ გავეცნობით მაშინ, როცა შევეხებით ფედერალურ საბჭოს უფლებებს. აქ კი შევნიშნავთ, რომ იმპერატორს უფლება აქვს გამოაცხადოს სამხედრო წესები, როდესაც ამას დაინახავს საჭიროდ, ხოლო საჭიროების დაფასება დამოკიდებულია მის პირად შეხედულებაზე. ეს ასეა ოლიგარხიულ კონსტიტუციის სამეფოში, ხოლო ცოტათ დემოკრატიულ საფრანგეთის რესპუბლიკაში სამხედრო წესების გამოცხადება თუმც რესპუბლიკის პრეზიდენტს ეკუთვნის, მაგრამ პარლამენტი ვალდებულია დაადასტუროს ან უარყოს ეს წესები. აქ უკანასკნელი სიტყვა ეკუთნის პარლამენტს—ხალხის წარმომადგენლებს. ამ წარმომადგენლებს ირჩევს ცალკე სახელმწიფოების წარმომადგენლები. გავიცნოთ ახლა მოკლეთ ფედერალური საბჭო და მისი უფლებები. როგორც ზევით ვსთქვით, ის ჩვენი ძველი ნაცნობი, გადასხვაფერებული სეიმია. ის შესდგება გერმანიის ცალკე სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან. ამ წარმომადგენლებს ირჩევს ცალკე სახელმწიფოების მთავრობა და აძლევს მას ბრძანებას, თუ როგორ უნდა მოიქცენ დელეგატები სხდომებზე. ყოველი დელეგატი სათანადო მთავრობის წინასწარ შემუშავებული აზრის გამომხატველია. ყველაზე უფრო საინტერესოა ჩვენთვის ვიცოდეთ თუ რას წარმოადგენს ფედერალური საბჭო კანონმდებლობაში. ყოველივე კანონი გერმანიაში, მაშინ შედის ძალაში, თუ ის მიღებულია რეიხსტაგის და ფედერალური საბჭოს მიერ, ამასთან გამოცემულია იმპერატორის მიერ. და რადგანაც ვერც ერთი კანონი ვერ შევა ძალაში რეიხსტაგის დაუთანხმებლად—ჩვენ გერმანიაში გვაქვს ერთგვარი კონსტიტუცია. ყოველივე კანონპროექტი, რომელსაც იხილავს რეიხსტაგი (პარლამენ.) წინდაწინ განხილულ უნდა იქნას ფედერალურ საბჭოს მიერ, როდესაც ეს კანონპროექტი შეტანილია რეიხსტაგში იმპერიის კანცლერის მიერ. თუ პრუსიის მეფეს, გერმანიის იმპერატორს, უნდა წარუდგინოს რომელიმე კანონპროექტი რეიხსტაგს, ის ავალებს თავის წარმომადგენლებს ფედერალურ საბჭოში შეიმუშაოს კანონპროექტი და წარუდგინოს საბჭოს სახელით რეიხსტაგს. პრუსიის პირველი მინისტრი, იმავე დროს კანცლერია. კანცლერი—ეს ერთად-ერთი იმპერიის მინისტრია. ის არავის წინაშე არ აგებს პასუხს, გარდა ღმერთისა და იმპერატორისა. ის, როგორც პრუსიის ერთი დელეგატთაგანი ფედერალურ საბჭოში, მის თავმჯდომარედ ითვლება. პრუსიის ფედერალურ საბჭოში 17 ხმა აქვს. სულ 58 ხმა ითვლება (ახლა უნდა მიმატებოდა ელზას-ლოტარინგიის ხმები). როგორც ზევით ვთქვით, კანონი უნდა იყოს მიღებული რეიხსტაგის და ფედერალურ საბჭოს მიერ, რომ ძალაში შევიდეს და იმპერატორის მიერ გამოცემული იქნეს. გამოდის, რომ იმპერატორს ორკეცი უფლება ქონია კანონმდებლობაში. მის ხელშია კანონის გამოცხადების უფლება, მეორე მხრივ ის მონაწილეობას ღებულობს კანონების შემუშავებაში თავისი დელეგატების დახმარებით საბჭოში. ამნაირად პრუსია ნამდვილი გეგემონი ხდება გერმანიის. ჯარი მის მეფის ხელშია, კანომდებლობაში ის თამაშობს გადამწყვეტ როლს. მისი პირველი მინისტრი მთელი იმპერიის კანცლერია და, როგორც ასეთი, პასუხის მგებელია არა ფედერალურ საბჭოს ან გერმანიის პარლამენტის წინაშე, არამედ გერმანიის იმპერატორის, რომელიც იმავე დროს პრუსიის მეფეა. გერმანიის დემოკრატიზაცია, მისი ხალხის პოლიტიკური უფლების გაფართოება მოითხოვს პრუსიის დემოკრატიზაციას, მისი ოლიგარხიულ კონსტიტუციის ძირიანათ შეცვლას. ამით არის შესანიშნავი ის დემონსტრაციები, რომელიც შარშან ხდებოდა სოციალდემოკრატების ხელმძღვანელობით ბერლინში და საერთოდ პრუსიაში. მუშების ბრძოლა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის პრუსიის ლანდტაგში (პარლამენტში), ეს გერმანიის დემოკრატიზაციისთვის ბრძოლაა, ხოლო პრუსიის მთავრობის პოზიცია, რომელიც ცოტად თუ ბევრად მთელ გერმანიას გეგემონობს, მთელი გერმანიის რეაქციონურ დონეზე შეჩერებას ნიშნავს. ბრძოლა დაწყებულია, მის შედეგს ახლო მომავალი გვიჩვენებს.

თუ გერმანიის ფედერალური საბჭო, რომელიც კანონმდებლობის დარგში სხვა ქვეყნების ზედა-პალატის როლს ასრულებს, ერთავად მოხელეებიდან შესდგება, ამას ვერ ვიტყვით ქვედა პალატაზე, რეიხსტაგზე. ის საყოველთაო საარჩევნო პრინციპზე აგებულია. ის წარმოადგენს გაერთიანებულ გერმანიას. ბისმარკს ეშინოდა, რომ გერმანიის კავშირში შესულ სახელმწიფოებს წინაალმდეგობა არ გაეწიათ მისი პოლიტიკისთვის. ამისთვის მათ ქონდათ კონსტიტუციონალური გზა. ყველა ხმები შეერთდებოდა პრუსიის წინაალმდეგ ფედერალურ საბჭოში და პრუსიის წინადადებას უარყოფდა. დღეს არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ სწორედ ამის შიშით ბისმარკმა, ამ ტიპიურ პრუსიის ფეოდალმა, რეიხსტაგის დეპუტატების ასარჩევად საყოველთაო საარჩევნო უფლებას მიმართა. გერმანიის ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს იმდენათ ქონდა მის თვალში მნიშვნელობა, რამდენათაც ასე არჩეული პარლამენტი ცალკე სახელმწიფოების ავტონომიას მორალურად ფრთას შეკვეცდა. ამავე დროს მუშებში ტრიალებდა ლასალის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლის საჭიროებაზე. საყოველთაო არჩევნებით ლასალს მუშების პოზიციის გაძლიერება სურდა და ამიტომ იყო ის მისი მხურვალე დამცველი. ბისმარკს კი ამ უფლების მინიჭებით გერმანიის იმპერატორის, იგივე პრუსიის მეფის, გაძლიერება სურდა. ფეოდალი—კონსერვატორი ერთი მხრით, სოციალისტი—ორატორი მეორე მხრით, ერთი და იგივე იარაღს ლესავდენ. ვინ მოიხმარა უფრო ეს იარაღი? დღეს ყველასათვის ცხადია, რომ გერმანიის მუშებმა და მისმა პარტიამ, სოციალ-დემოკრატიამ. თუმც რეიხსტაგი დემოკრატიულ ნიადაგზეა არჩეული, მაგრამ მისი უფლებები ოდნავადაც ვერ შეედარება ინგლისის პარლამენტის უფლებებს, რომელიც არა დემოკრატიულ ნიადაგზეა არჩეული*). გერმანიაში აღმასრულებელი ძალა იმპერატორს ეკუთნის, რომელიც ნიშნავს იმპერიის კანცლერს. იმპერიის კანცლერი ნიშნავს თავის თანაშემწეებს, რომელნიც რეიხსტაგის წინაშე პასუხს არ აგებენ. დღეს მთელი გერმანიის დემოკრატია, მუშათა პარტიის მეთაურობით, მოითხოვს პარლამენტის წინაშე პასუხის მგებელ სამინისტროს. სოციალ დემოკრატია და რადიკალური ბურჟუაზია ამ მოთხოვნაში შეთანხმებით მოქმედებენ.

მაშ აქაც, როგორც, ინგლისში, ბრძოლა სახელმწიფოს დემოკრატიზაციისთვის გაჩაღებულია და ამ ბრძოლას თაობს სოციალ-დემოკრატია—ეს ერთად ერთი პარტიაა, რომელიც ყველა დემოკრატიულ პრინციპებს იცავს. დღეს გერმანია ყველა ქვეყნებზე უფრო ღრმა პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. მისი დღევანდელი კონსტიტუციონალური ფორმა, უფლება შეკვეცილი რეიხსტაგით, უპასუხისმგებლო კანცლერით და ლაპარაკის მოყვარული იმპერატორით, ვერ ეგუება ხალხის სულის კვეთებას, მის დემოკრატიულ მისწრაფებებს. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ადრე თუ გვიან ბისმარკის შექმნილმა კონსტიტუციამ სახე უნდა იცვალოს.

**ბ. თეკლათელი.**

*) მხოლოდ ახლა ფიქრობს ინგლისის ლიბერალური სამინისტრო საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას, რის პასუხად მუშათა პარტიამ მოითხოვა (თავისი ცენტრალური კომიტეტის პირით) საარჩევნო უფლებები ქალებისთვისაც

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შ-ბის სავაჭრო სახლი

ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მიღებულია რკინის კოჭები (двутавровыя балки), ალიბასტრი ბახმუტის საუკეთესო ხარისხის, ცემენტი პორტლანდის და იყიდება ზომიერ ფასებში.

? დ ა ვ ი თ ქ ე ზ ა ძ ე ?

მკითხველთა საყურადღებოთ

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით

სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში

იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და მარმარილოს პირ-საბანები და სხვა. დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების.

პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები,

ფასები შესამჩნევათ დაკლებულია.

მკითხველთა საყურადღებოთ

აქ ჯერ კიდევ 6 თვის წინ გავრცელდა ხმები, რომ მუშათა არტელი უნდა გაუქმდეს და სამუშაო ადგილობრივ მოსამსახურეთ გადაეცესო. ამ ხმებს წინეთ არავინ უჯეროდა, მაგრამ შეუძლებელი აქ არაფერი არ ყოფილა. ჯერ კიდევ 20 მაისს ადგილობრივ სადგურის უფროსმა ბ-ნმა ბეგთაბეგოვმა აუწყა აქაურ მუშებს, რომ 1 ივნისიდან საქმე ადგილობრივ მოსამსახურეებს უნდა ჩააბაროთ, რადგან რკინის გზის სამმართველოს სურს „საოჯახო წესით“ აწარმოვოს საქონლის გაზიდვა-გამოზიდვა. ამ რიგათ ხმები უკვე ფაქტათ იქცევა და კიდევაც შეუდგენ „რეფორმებს“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ განცხადების კულისური მხარე, თავისთავათ ცხადია, დაფარული დარჩა, მხოლოთ გამოაცხადა რკინის გზის სამართველოს მოწერილობა. უკანასკნელი კი ცხადია, აქაურ „რეფორმატორთა“ შუამდგომლობის პასუხია და მეტი არაფერი. იმით თავის მართლება, თითქო სამართველოს უფლება აქვს ადგილობრივ სადგურის მოსამსახურეებს გადასცეს სამუშაო, ვერაფერი შვილი თავის მართლებაა, რადგან ეს უფლება წინეთაც იყო, მაგრამ სასამართლოს აქაურ მუშათა არტელის გაუქმება არც კი უფიქრია და მეორე,— ასეთი უფლება სხვა, უფრო მოზრდილ სადგურებისთვისაც უნდა არსებობდეს (როგორც მაგ. ბაქ. თბილისი და სხვა); მაგრამ იქ ჯერ-ჯერობით მუშათა არტელები არ გაუუქმებიათ. აშკარაა აქაური არტელის გაუქმების საბაბი აქაურმა მოსამსახურეებმა მისცეს სამართველოს. მაგრამ დავუბრუნდეთ საგანს.

ჩვენ ვსთქვით, რომ კიდევ 20 მაისს შეუდგენ „რეფორმის“ განხორციელებასთქო. ამავე რიცხვს გამოცხადებულ იქნა, რომ რადგან არტელში იმდენი ხალხია, რასაც აქაური მუშაობა ვერ აიტანს (აქამდის თუ იტანდა?! მაშინ თუ არა იყო საზარალო, როცა ვაგონში 4 მან. ღებულობდენ, დარაჯებისას 375 მანეთს თვეში, ეხლა რაღა მოხთა?!) ამიტომ 54 კაცი უნდა გამოაკლდეს და ეს იმ პირობით, თუ დანარჩენი მუშები რკინის გზას თვიურ ჯამაგირზე დაექირავებაო. რარიგ არასასიამოვნო იყო ასეთი წინადადება მუშებისათვის. უკანასკნელ მაინც უნდა გაეწიათ ამისთვის ანგარიში, რადგან ისინი სხვებზე უკეთა გრძნობენ, რომ ძალა აღმართსა ხნავს. მეტი გამოსავალი არ იყო. ისინი ჯამაგირზე დაქირავებას რკინის გზის მიერ და 40-50 „მოიჯარადრე-ბატონთან“ საქმის ქონებას უნებლიეთ უნდა დათანახმებულიყვენ, მაგრამ არტელიდან (154) 54 კაცის გამოკლება კი საგონებელში აგდებდა მათ. ამაზე იქონიეს მოლაპარაკება და სადგურის უფროსს წარუდგინეს დასაბუთებული მოსაზრებანი, რომლითაც ამტკიცებდენ, რომ ადგილობრივ სადგურზე სამუშაო სრულიადაც არ შემცირებულა; რომ 154 კაცი აქამდის თუ აუცილებელი იყო, ეხლაც აუცილებელია და სხვა. ეს მოსაზრება იმდენათ დასაბუთებული გამოდგა, რომ ახალ მოდის რეფორმატორები უძლურნი გამოდგენ გაებათილებიათ ის. ისინი იმ ჟამათ დაეთანახმენ ასეთ მოსაზრებას. შემდეგ ამისა შეუდგენ ჯამაგირების გაწესრიგებას ე. ი. თვიურ ჯამაგირის განსაზღვრასა.

მიღებული იყო მხედველობაში ის, რომ რკინის გზის სამართველო ვაგონის დაცლა-დატვირთვაში მათ მიერ წარდგენილ „რასცენკას“ 3 მ. 75 კ. დაამტკიცებდა. მეორე მხრით რათ უნდა ეწყინებიათ მუშებისათვის, როცა ღრმათ იყვენ დარწმუნებული იმაში, რომ უბრალო „შავ მუშას“ სამართველო ასეთ დიდ ჯამაგირს, როგორც 35-40 მ. თვეში, არ დაუმტკიცებდა! აი ამიტომ შეადგინეს ასეთი სმეტა:

უბრალო მუშას თვეში—35 მ. პარტიის (8 მუშის) თავს—40 მ. დარაჯებს—25 მ. „ნასილშჩიკებს“—10 მ. და ტაბელშჩიკებს (უფროს მუშებს) 50 მ. ერთის შეხედვით ეგ სმეტა მისაღებია და ბევრი იფიქრებს, რომ საამისო აქ არა შომხთარა რაო, მაგრამ ეს ერთის შეხედვით მხოლოთ. ქვემოთ ჩვენ ნათლათ დავინახავთ, თუ რა მოხთა; მხოლოთ აქ კი შევნიშნოთ, რომ ამ სმეტით ყველაზე უფრო დაიჩაგრა „ნასილშჩიკები“, რომლებსაც 10 მან. დაენიშნათ ჯამაგირი და რომლებსაც წაერთვათ შემოსავალი სწრაფი მიმოსვლის საქონლიდან და სხვა; და მხოლოთ სახალხო მატარებლის საქონელი დარჩათ. ასე რომ, მათ ხშირათ 40-50 კ. ურიგდებათ დღეში. (მინიმუმი 40 კაპ. მაქსიმუმი კი 1 მანეთი) მაგრამ დახეთ უბედურებას! რკინის გზის სასამართლომ ზემონაჩვენები სმეტა დაამტკიცა, მაგრამ „რასცენკა“ კი არა! მან მოსწერა „რეფორმატორებს“ —2 მან. 50 კაპიკითაც მშვენივრათ მოაგვარებთ საქმესო (ალბათ სასამართლომ მხედველობაში მიიღო მათი დაუზარებლობა და მათი სიმარჯვე!!) აქ კი „მოიჯარადრეთა“ მთელი ჯგუფი საგონებელში ჩავარდა, რადგან მან იგრძნო, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა! საჭირო იყო რაიმე საშვალების გამოძებნა, რომ მათ არ ეზარალათ. აქამდის „პრემიები“ ნდომის ნერწყვს გვრიდა მათ, ეხლა კი „დეფიციტებზე“ შეიქნა მითქმა-მოთქმა. პირველ საშვალებათ, და უებრო საშვალებათ, აღიარებულ იქნა ეგრე წოდებული „პადნოსკა“! ეს იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის პატრონს ახდევინებენ დროგზე დადების ფასს, საფუთო გადასახადს ამის უფლება, რა თქმა უნდა, წინედაც არსებობდა, მაგრამ სინამდვილეში საქონლის პატრონი არაფერს არ იხდიდა, რადგან კერძო მუშებს ქირაობდა თვითონ. ეხლა კი მრუდს და მართალს ყველას დაუწყეს ხდევინება ფუთზე ორი კაპიკისა.

ვალია.

(შემდეგი იქნება)

## დაბა-სოფელი.

**აგარაკი ბაკურიანი.** წელს ბაკურიანში სხვა წლებთან შედარებით ძალიან ცოტა „მთაგარაკე“ ჩამოვიდა. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ვითომ ვიღაც არამკითხეს „რეკლამა“ უნდა გაეკეთებიოს ს. წაღვერისათვის და ცუდი ხმები გაევრცელებიოს ბაკურიანზე: ვითომც აქ სხვადასხვა გადამდები „სენი“ იყოს გავრცელებული მკვიდრთა შორის, როგორცაა მაგალითათ, მუცელა და სხვა; მკვიდრი მცხოვრებლები აქ არიან: ბერძნები, (მეტი ნაწილი) რუსები (ცოტა) და ქართველებიც მოიძებნებიან აქა-იქ. ცხოვრების უკუღმართ პირობებს იძულებული გაუხდია ისინი, რომ ამ მივარდნილ კუთხეში გაუკეთებიათ მუდმივი ბინა; რიცხვით ისინი ძალიან ცოტანი არიან; აქაურების ბედ-იღბალი ბ-ნ „ღესნიჩის“ ხელშია; მისი მეცადინეობით კიდეც დაარსებულა ბიბლიოთეკა-სამკითხველო და თეატრი. სამკითხველოში საკმარისათ მოიძებნება ჟურნალ-გაზეთები და სარგებლობენ არა მკვიდრნი, არამედ მთაგარაკენი. თეატრში კი იმართება წარმოდგენები. „სეზონის“ დროს წარმოდგენას დგამენ ბორჯომში სცენის-მოყვარეები და ხანდახან ქუთაისისა და თფილისის დრამატიული დასის წარმომადგენლები. ერთი წარმოდგენა უკვე დადგეს მოსკოვის არტისტებმა 27 ივნისს, ითამაშეს სამ მოქმედებიანი კომედია: „გზა ჭეშმარიტებისაკენ“. ხალხი ნაკლებათ დაესწრო, მაგრამ შთაბეჭდილება კარგი დასტოვა...

მთელი ბაკურიანის ბაზარი რომ დაიაროთ, ვერ შეხვდებით ერთ ხეირიან სასადილოს; სულ სამი სასადილოა და ისეთი უსუფთაობაა შიგ გამეფებული, რომ კაცს გული არ მიგივა საჭმელზე. ამის მახლობლად ერთ ვიღაც მეგრელს გაუხსნია „ბუფეტი“, სადაც „ვოგზალის“ ატყობინებს, რომ მის „ბუფეტში“ ძალიან სუფთა და კარგი საჭმელები მზადდება, და მასთან ხელ-მისაწვდომ ფასებშიო, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოთ „ვივესკაზეა“. სასადილოში კი უარესი უსუფთაობა ტრიალებს და ფასებიც ერთი ორათ მეტია. ასეთ ამბებს აქ ყურადღებას არავინ აქცევს. ან კი ვინ არის ისეთი, რომ გაიგონოს?

ს. მეთვალყურე.

## მუშათა ცხოვრება.

ჩვენი წვრილი მეთუნუქეების ყოფა-ცხოვრება ძალიან დამაღონებელია. არაფერი არ აინტერესებთ მათ გარდა კარტის თამაშისა და სამიკიტნოში ღვინის სმისა; ერთი-მეორის ლანძღვა-გინება, ლაზღანდარობა, მათი მეორე ხელობაა. წიგნის ან გაზეთის კითხვა, რაღაც საშინელებას წარმოადგენს მათთვის. თუ ვისმე ხელში გაზეთი დაუნახეს, მაშინვე გაოცებულნი მივარდებიან და დაცინვით შეუვირებენ: კაცო! საქმე შემოგელია, რომ გაზეთისთვის მოგიცლიაო?! მიაძახებენ ასეთ სიტყვებს და თან სიბრალულით შეუურებენ: უბედური როგორ დაღუპულა, გამოსულელებულა, რომ გაზეთს კითხულობსო, ფიქრობენ ისინი. დროა წვრილმა მეთუნუქეებმაც გამოიფშვნიტონ თვალები და ადამიანურ ცხოვრების ფერხულში ჩაებან.

მეთუნუქე ვანო ტორაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

„ჩვენი ცხოვრების“ 4 და 6-სე ნომერში ჩემმიერ მოთავსებული კორესპონდენციაში ბ. ანტონ სულავას დაუნახავს ცილისწამება, რისთვისაც მიწვევს სამედიატორო სამართალში. მივყვები დიდის სიხარულით, საქმე გარჩეული უნდა იქნეს იმ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი ის მოხდა, რაც მე აწერილი მქონდა. მცოდნე და დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით. ყოველივე ხარჯები ამ საქმეზე გაწეული მტყუანმა მხარემ უნდა ზღოს, ჩემის მხრით მედიატორეებათ ვასახელებ სევერიანე ხვიჩიას და ბილოკან რუხაძეს.

ქვიტირელი

რედაქტორ-გამომცემელი

ა. სულაქველიძე.

## ქუთაისის ბაზარი.

ფუთი სიმინდის ფქვილი ღირს მანეთი და ორი შაური—ექვსი აბაზი.

ფ. სიმინდი—თუთხმეტი შაური—ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ფ. ლობიო—შვიდი აბაზი, ჭყინტი ლობიო—შვიდი შაური.

ფ. კომბოსტო—აბაზი.

ფ. ქართოფილი—7 შაური—ორი აბაზი

ფ. ახალი ხახვი—ათ შაურიდან თოთხმეტ შაურამდე.

გირვანქა ერბო (კარაქი)—ოცდა თვრამეტი კაპიკი—ორი აბაზი

ყველი ორ გირვანქა ნახევარი (ჩარექი)—ორი აბაზი.

ყველი გირვანქა—აბაზი.

გადაზელილი ყველი (სულგუნი) წყვილი—ხუთი შაური—ექვსი.

პური ფურნისა პირველი ხარისხის—სამი გირვანქა—ცამეტი კაპიკი, მეორე ხარისხის თორმეტი კაპიკი, მესამე ხარისხის ორი შაური.

თორნის პური პირველი ხარისხის სამი გირვანქა თოთხმეტი კაპ. მეორე ხარისხის 13 კაპ.

ხორცი—ძროხისა ცამეტი კაპ.—თერთმეტი კაპ. (ადგილობრივი)

ხორცი—ცხვრისა ცამეტი კაპ.

ხორცი—კამეჩისა რვა კაპ.

ქათამი—ათი შაური—ოთხი აბაზი.

ვარია—აბაზი—ექვსი შაური.

შეშა—ურემი შვიდი აბაზიდან—ცამეტამდე.

ღვინო ადგილობრივი ფუთი—თორმეტ აბაზიდან—თექვსმეტამდე.

კიტრი—ასი ორ აბაზათ, არჩეული ათ შაურათ—რვა-ათი—შაურათ.

სხალი—ფუთი ორი აბაზი—ათი შაური.

თხილი— „ თვრამეტი შაური დაურჩეველი, ორი მანეთი დარჩეული კაკალი.

პამიდორი ფუთი—ათი შაური—სამი აბაზი.

თევზი რიონის გირვ. შვიდი შაური

ეტლი ერთი გზა ქალაქში ხუთი შაური, სადგურამდე შვიდი შაური. სადგურიდან ცხრა შაური.

**მუშა ხელი.**

მიწის მუშა დღეში თავის ხარჯით—ოთხი აბაზი—მანეთი.

დურგალი ექვსი აბაზი—რვა აბაზი.

კალატოზი, რვა აბაზი—ცხრა აბაზი.

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33, 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია

ძმათა ღლონტებისა

ქალაქ ფოთში (კ. რუხაძის გვერდით).

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ფოთისა და მახლობელ რაიონების საზოგადოებას, რომ ჩვენ სავაჭროში მიღებულია და ვღებულობთ ყოველ დღე დიდძალ შემდეგ საქონელს: ჭურჭლეულობა ფაიფურისა, ფაიანსისსა, ბროლისა, სპილენძისა, ემალისა, ალიუმინისა, ნიკელისა, თუჯისა და სხვა. ყოველგვარი მუზიკალური იარაღები, საპარიკმახერო ნივთები, სამოვრები, კლიონკები, სხვადასხვა ნაირი სახრაკავი მაშინკები, ლამპები ყოველგვარი გაზით მახურებელი სისტემის „Т-ВО СВѢТЪ“. მაღაზიებისათვის, კანტორებისათვის და რესტორანებისათვის ვიძლევით სრული გარანტიით. აგრეთვე მიღებულია დიდძალი მელხიორის ნივთები, გვირგვინები, საკერავი მაშინები საუკეთესო სისტემის, ყოველგვარი სკამები, კრაოტები, მარმარილოს პირის საბანები, სარკეები და ყოველგვარი ავეჯეულობა, სრული მორთულობა სახლებისა, სასტუმროებისა და სხვადასხვა დაწესებულებისათვის.

ფასები დანიშნულია ზედ მიწევნით დაკლებული,

რაშიაც დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება თუ ერთჯერ მაინც კი შემობრძანდება ჩვენს სავაჭროში. პატივისცემით ალექსანდრე და ლევან ღლონტები.

„ჯეჯილი“

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი. ოცდა მესამე წელიწადი. მიიღება ხელისმოწერა 1912 წლისათვის. გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა. პატარებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში ღირებ: 4 მანეთი, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მანეთი. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი აბაზი. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს, ბაქოში—ქ. მართა კვიტიაშვილს, მიხაილოვოში—ვლად. ჩიქოვანს, გორში—კნ. თამარა თარხანიშვილს, სამტრედიაში—რაჟ. ნანეიშვილს, თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს, სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს, ჭიათურაში—ქ. ჯაფარიძეს და ნიკო წუწუნავას, ბათუმში—მიხეილ კართანძეს.

რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.